ცხოვრების მიზნად სიმართლე გვქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# ალიონი

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ● №17-18 (10005) 5 მაისი, 2013 წ. ● ფასი 30 თეთრი

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!



### „თავისუფალი დემოკრატების" IV კონფერენცია



გვ-2

### სტუმრად სარჩეულში



გვ-3



### ძვირფასო ოზურგეთელებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აღდგომა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის უდიდესი დღეა, რომელიც განახლებასა და იმედთან არის დაკავშირებული.

აღდგომის მადლი შეწეოდეს თითოეულ ქართველს, განსაკუთრებით კი იმ ოჯახებს, რომლებიც მძიმე სოციალური პირობების გამო, ჩვენგან დახმარებასა და თანადგომას ელიან.

ჩვენ თქვენს გვერდით ვართ და ვცდილობთ თავდაუზოგავი შრომით თქვენი ყოფა უკეთესობისაკენ შევცვალოთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ,
ქრისტე აღსდგა!

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი,**
**კონსტანტინე შარაშენიძე**



### გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებაა. ამ უდიდესი დღესასწაულის მადლი გადმოსულიყოს თითოეულ ოჯახზე.

სულიერ სიძლიერესა და ბედნიერ მომავალს გისურვებთ!
უფალი გფარავდეთ!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე,
**გიორგი ლურჯუმელიძე**


### ინდ.მეწარმე „ავთანდილ ჭანუყვაძე" მუდამ თქვენს სამსახურში!



გვეწვიეთ, მხოლოდ ჩვენთან საუკეთესო იტალიური პასქები
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ.№15. (რ)


### შპს „გზამშენი 18" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

უფალი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 5 მაისი კვირა | 6 მაისი ორშაბათი | 7 მაისი სამშაბათი | 8 მაისი ოთხშაბათი | 9 მაისი ხუთშაბათი | 10 მაისი პარასკევი | 11 მაისი შაბათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე | მზე, ღრუბელი | წვიმა | მზე, ღრუბელი | ღრუბელი | წვიმა | წვიმა |
| +14+26 | +14+24 | +14+25 | +16+24 | +16+22 | +11+16 | +12+14 |

# ძვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



გილოცავთ აღდგომას უფლისა იესო ქრისტესი!

გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, უფლის წყალობას!

**თემურ მოქია,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობის" თავმჯდომარე



გულითადად გილოცავთ უფლისა ჩვენისა ბრწყინვალე აღდგომას.

სიყვარულით გვაცხოვროს მშვიდობაში და ერთიან საქართველოში.

**ლევან ნინიძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე.



გილოცავთ ჭეშმარიტ საუფლო დღესასწაულს. გისურვებთ წარმატებებს, მშვიდობას, კეთილდღეობას.

უფლის სიყვარულით გვეცხოვროს"

**მიხეილ გოგოტიშვილი,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობა-ძლიერი თვითმმართველობა" თავმჯდომარე

## „თავისუფალი დემოკრატების" IV კონფერენცია

ნინო ნიკოლაიშვილი



„თავისუფლი დემოკრატების" ოზურგეთის ორგანიზაციის IV კონფერენცია პირველ მაისს, ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის დარბაზში გაიმართა. კონფერენციას ესწრებოდნენ პარტიის თავმჯდომარე **ირაკლი ქადაგიშვილი**, პარტიის რეგიონული სამსახურის უფროსი **თემურ სალუქვაძე**, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის ორგანიზაციების თავმჯდომარეები, პარტიის წევრები.

კონფერენციას თემურ სალუქვაძე უძღვებოდა. მანვე ისაუბრა იმ განვლილი მუშაობის შესახებ, რომელიც პარტიის წევრებთან ერთად გასწიეს დაარსებიდან დღემდე.

— ამ წლებმა მოგვცა საშუალება, ოქტომბრის არჩევნებში საქართველოს მასშტაბით მნიშვნელოვანი წარმატებისთვის მიგვეღწია. მადლობა უფალს, რომ გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც შესძლო კოალიციის წევრებთან ერთად გაემარჯვა. ეს არ იყო მხოლოდ არჩევნების მოგება. ეს ისტორიული არჩევანი იყო. ქვეყნის გადარჩენა და გზა ევროატლანტიკური სივრცისაკენ. დიდია თქვენი დამსახურება გურიის რეგიონში ასეთი წარმატების მიღწევაში. მართალია სამი წელია, რაც შეიქმნა ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, მაგრამ დღეს უკვე 62 რაიონული პარტიული ორგანიზაციაა დაფუძნებული ჩვენს ქვეყანაში." მისი თქმით, არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ რჩება ნაციონალური ხელისუფლება, რაც მდგომარეობას ართულებს და სიძნელის მიუხედავად, მათთან ურთიერთობები გარდაუვალია. — რა ძნელიც არ უნდა იყოს ეს გზა, ჩვენ მაინც უნდა გავიაროთ. ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა იმსახუროს ხალხი, როგორც ამას ნაციონალები აკეთებდნენ.

ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დიმიტრი კვერღელიძემ** სოფლის მეურნეობის ბარათების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება და გარკვეული პასუხისმგებლობა ნაციონალებს დააკისრა. — **მართალია ნაციონალები თავს ოპოზიციად თვლიან, მაგრამ ასე არ არის. ისინი დღეს ხელისუფლების სტრუქტურებში გარკვეულწილად არიან წარმოდგენილნი. მეტიც, თვითმმართველობებში სრული ბატონ-პატრონები არიან. ამისი მაგალითის სოფლის მეურნეობის ბარათების სისტემა. ბევრმა ადამიანმა ამ სიკეთით ვერ ისარგებლა და ეს მიზანმიმართულად გაკეთდა.** ნაციონალების დროს იყო ვირტუალური საქართველოს მშენებლობა, რაცას ყველა ვგრძნობდით. დღეს ბევრი პასუხისმგებლობის წინაშე ვდგავართ. ჩვენმა პარტიამ ამ სამი წლის განმავლობაში აჩვენა ყველა ის თვისება, რაც შეიძლება კლასიკურ პარტიას ჰქონდეს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: **ირინა კოპალეიშვილი**, ოზურგეთის ორგაზიზაციის გამგეობის წევრი; **ელგუჯა ჩხაიძე,** ლანჩხუთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, **ვახტანგ ზენაიშვილი,** გამგეობის წევრი; **ვახტანგ გაჩეჩილაძე**, ჩოხატაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

სამივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს პარტიის დროშა გადაეცათ.

დასკვნით ნაწილში ისაუბრა პარიის თავმჯდომარე **ირაკლი ქადაგიშვილმა.** რომელმაც თავისი გამოსვლის დასაწყისში გურულების პოლიტიკურ აქტიურობასა და ცოდნაზე გაამახვილა ყურადღება, შემდეგ განვლილი პერიოდი შეაფასა და ქვეყნის განვითარების მაშინდელი გზა სინგაპურიზაციას შეადარა. მისივე თქმით, „თავისუფალი დემოკრატების" პრიორიტეტები ქვეყნის განვითარებისთვის სწორი მიმართულებებია, და სწორედ ამიტომ აირჩია ბიძინა ივანიშვილმა მათი პარტია ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად. — ჩვენ ვიმყოფებოდით ვირტუალურ, პროპაგანდისტულ სამყაროში. ამან იმუშავა ჩვენს ფსიქოლოგიაზე. შიში დაბადეს ადამიანებში და მახინჯი მოვლენების სიყვარულს გვაჩვევდნენ. სინგაპურიზაციის პოლიტიკით გვატარებდნენ. ერთი კლანის მმართველობა ყველა სფეროში, მათ შორის ბიზნესში. ამისი მაგალითია ლაზიკა. იქ ის ადამიანები უნდა დასახლებულიყვნენ, რომლებიც ყოველდღიურად ყიდულობდნენ ქართულ მიწებს.

ჩვენი ვალია ეროვნული ეკონომიკის აღორძინება და ეს სოფლის მეურნეობით უნდა დაიწყოს. სწორედ ამიტომ აგვირჩია თავის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად ბიძინა ივანიშვილმა. ბიზნესის განვითარება თითოეული ქართული ოჯახის შემოსავლის წყარო უნდა გახდეს.

შეხვედრაზე ისაუბრეს თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე, რაშიც კოალიციასთან ერთად თავისუფალი დემოკრატების დიდი წვლილი იქნება.

## ხმაურიანი სხდომის შედეგი – „ლუკმა გავარდეს – ჯამში ჩავარდეს"

ნინო ნიკოლაიშვილი

მას შემდეგ, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სხვადასხვა დასახელების ფრაქციები ლამის სოკოებივით მომრავლდნენ, 26 აპრილს გამართული საკრებულოს სხდომის პირველ საკითხად განხილული ახალი ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა-ძლიერი თვითმმართველობის" რეგისტრაციის თემა გახდა საკმაოდ ხმაურიანი გამოსვლების მიზეზი.

— **რამდენი ფრაქცია შეიძლება შეიქმნას, გაკვირვებანარევი პირველი შეკითხვა დეპუტატმა თემურაზ ჯახვამ დასვა.**

დეპუტატმა **დიმიტრი კვერღელიძემ** თავისუფალი დემოკრატებიდან, ჯერ ბიუჯეტის შესაძლებლობები, შემდეგ კი დებულების ის მუხლი შეახსენა იდეის ავტორებს, რომლის თანახმად, ერთი პარტიის წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება ერთ ფრაქციაზე მეტის შექმნისა. — „მე არ ვუპირისპირდები ამ ადამიანებს, მაგრამ დებულებით ამისი უფლება არ გაქვთ, და თუ ცვლილებები შეიტანეთ დებულებაში, წარმოადგინეთ შესაბამისი ოქმი. ასევე მინდა გითხრათ, რამდენად შესაძლებელია ბიუჯეტით ამის გაკეთება, ხალხს მეტად უნდა გაუფრთხილდეთ". მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტებმა თავისი ქმედების სისწორე დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით დაადასტურეს, ისინი „თავდასაცავად" სრულად მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ და თავდაპირველად დაბნეულობაც შეეტყოთ. მათ მთავარ სამიზნედ საკრებულოს სპეციალისტი **გივი ყაზაიშვილი** აირჩიეს. რატომ წინასწარ არ გააფრთხილა ისინი და ხმაური მაინცდამაინც საკრებულოს სხდომაზე ჟურნალისტების დასანახავად ატეხა. შესაბამისი ოქმის წარმოდგენა მოითხოვეს გივი ყაზაიშვილისგან. ყაზაიშვილმა უარყო, რომ 2010 წლის 22 ოქტომბერს შესაბამისი სხდომა არ იყო გამართული, თუმცა აღმოჩნდა, რომ დებულებაში ზემოთაღნიშნული ცვლილება იმავე წლის 6 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე იქნა მიღებული და ბევრმა „შვებითაც" ამოისუნთქა. ზოგი ხელის გაშვერითა და ხმის აწევით ერთმანეთსაც გაეჯიბრა „მთავარი დამნაშავის" დატუქსვაში, რომელმაც სულ ცოტა, საკრებულოს თავმჯდომარისგან საყვედური და დარბაზიდან გაძევება დაიმსახურა.

— **კარგი, მე მადანაშაულებთ, მაგრამ თქვენ რამდენად გაქვთ მორალური უფლება ამდენი ფრაქციის შექმნისა, როცა ბიუჯეტს ასე უჭირს.**

ამ განცხადების გამო გივი ყაზაიშვილს ურჩიეს მორალური მხარეები გვერდით გადაედოთ და იურიდიულზე ემსჯელათ. რახან „დამნაშავე" იპოვეს, ახალი ფრაქციის შემადგენლობასაც მიულოცეს. „ლუკმა გავარდეს - ჯამში ჩავარდეს", ზრუნვა, როგორც ჩანს კვლავ გაგრძელდება, მთავარია, ფანტაზია იყოს, ახალი სახელების გამოგონება რა პრობლემაა. ადამიანებს შრომა უნდა დაუფასდეს. დებულებების შემუშავებასა თუ ცვლილებებს რამდენი შრომა სჭირდება, ვისგან გონებრივი, ვისგან კიდევ დასტურის ნიშნად ხელის აწევ-დაწევა.

დიმიტრი კვერღელიძემ წინა წლის ბიუჯეტის შესახებ აუდიტის დასკვნაც ზერელედ შეაფასა და შესაბამისი არგუმენტები დაასახელა, კერძოდ ფუნქციონალური და ეკონომიკური ხარჯების სისწორე, სარეზერვო ფონდის მიზნობრიობა, ხელფასების წინასწარ გაცემა და სხვა. აქედან გამომდინარე მან დეპუტატებს მოსთხოვა გასული წლის ბიუჯეტი უარყოფითად შეეფასებინათ, რაც გააპროტესტა **ალეკო მამეშვილმა.** — მე ამაყი ვარ იმით, რაც გაკეთდა, სამწუხაროდ თქვენ არ გინდათ დაინახოთ გაკეთებული საქმეები და საუბრობთ იმაზე, რაც არ გაკეთებულა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის **კოტე შარაშენიძის** თქმით, ქალაქში უამრავი ფულია დახარჯული, მაგრამ უაზროდ. —„ ხდება გაკეთებული გზების ხელმეორედ გადათხრა, საკრებულო ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ასეთ საქმეებს. იმის გამო, რომ არ არის ქალაქის განაშენიანების გეგმა, უამრავი შენობა აშენდა არასწორად. სამწუხაროდ მოუწევს ადამიანებს ასეთი შენობების დემონტაჟი კომპენსაციის სანაცვლოდ. ოზურგეთი არც ერთი, ორი, ან ათი კაცის არ არის. ასევე არასწორადაა აშენებული პსპ შენობა; თეატრალურ მოედანზე საცხოვრებელ ბინებზე დაშენებული სართული. მოსაწესრიგებელია მიწისქვესა კომუნიკაციები... დაიძახებდა რამაზ ნიკოლაიშვილი და კეთდებოდა ისე. ეწინააღმდეგებოდა ვინმე? ისე უნდა გავაკეთოთ, როგორც ოზურგეთს სჭირდება"

საკრებულოს თავმჯდომარის გამოსვლას განმეორებითი „კომპლიმენტენი" მოჰყვა დეპუტატ **ლელა ნაცვალაძისგან**, რომლის თქმით, ალეკო მამეშვილს მარხვის დამთავრების შემდეგ ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

— რა ვქნათ, ამაზე დაბალი ტარიფი არ არის, ვერაფერი საჩუქარი დარჩება სოფლის მოსახლეობისათვის თავის მართლებით ნათქვამი ეს სიტყვები მიწის ქონების გადასახადის შემოღების გამო, რომლის თანახმად, სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი 1 ჰა. 73 ლარი იქნება წელიწადში. საკარმიდამო ასევე 73 ლარი; სათიბი — 20 ლარი; საძოვარი - 16 ლარი; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის ლიცენზიით გამოყოფილი მიწისთვის -3 ლარი. ასევე ისაუბრეს ქალაქის ტერიტორიაზე საქონლის შემოსვლის გამო თავდაპირველად გაფრთხილებისა და შემდეგ ფულადი ჯარიმის (50ლ.) დაწესებაზე. დაისვა საკითხი ნებაყოფილობით მოსაკრებელზე 18 ლარის ოდენობით სასაფლაოების მოვლა-პატრონობისთვის.

დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე მოითხოვა საკრებულოში კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის საბავშვო ბაღებში არსებულ მდგომარეობას. მასვე დაავალეს წინადადებით შესვლა საკრებულოში და შესაბამისი კომისიის ხელმძღვანელობა.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი-სურათების გალერეა ყოველ ქრისტიანს ულოცავს ბრწყინვალე აღდგომას. დაე აღდგეს უფლის შემწეობით ჩვენში სიხარული, სიყვარული და კეთილგონიერება. იხარეთ უფალში!



ა (ა) იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების და დასაქმების ხელშემწყობი ცენტრი“ ყველა ოზურგეთელს, განსაკუთრებით ფერმერებს ულოცავს აღდგომის ბრწინვალე დღესასწაულს. ვისურვებდით მიმდინარე წელი სოფლის მეურნეობაში გარდატეხის წელი ყოფილიყოს. უფლის წყალობით, თქვენი გარჯითა და ჩვენი ხელშეწყობით ხვავი და ბარაქა არ მოგკლებოდეთ.

# სტუმრად საჩხერეში

საჩხერეში 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ არ ვყოფილვარ. ვიცოდი ბევრი რამ გაკეთდა ამ კუთხის განვითარებისათვის, მაგრამ ნახულმა მოლოდინს გადააჭარბა.

ნუგზარ ასათიანი

## პროლოგის მაგიერ

1991 წლის გაზაფხულზე, მთელი საქართველოს ფიქრი, თვალი და ყური, ზრუნვა და დახმარების ხელი საჩხერისა და რაჭისკენ იყო მიმართული. ძლიერი მიწისძვრისაგან დაზარალებულ რეგიონს მსოფლიოს არაერთი ქვეყანა უწევდა მატერიალურ თუ მორალურ დახმარებას.

როგორც საქართველოს სხვა რეგიონებს, ისე ოზურგეთლებსაც არ შეურცხვენიათ თავი. სპეციალურ ანგარიშზე ირიცხებოდა შემოწირულობები, იგზავნებოდა კარვები, ტანსაცმელი, სურსათი. არაერთი ოზურგეთელი მონაწილეობდა აღდგენით სამუშაოებში.

ნინო თიოძისა და ოზურგეთის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებმა (ზურაბ ვაშაყმაძე, რევაზ გობრონიძე) საჩხერეში მნიშვნელოვანი ტვირთი ჩაიტანეს. 5 ათასი მანეთი პირადად მამა გურამმა (ამჟამად მეუფე გრიგოლი) გააგზავნა.

საჩხერეში გაგზავნილი ტვირთების ერთი პარტიის გადაცემაში ამ სტრიქონების ავტორიც მონაწილეობდა „ალიონის“ აწგარდაცვლილ ფოტოკორესპონდენტ დათო გიორგაძესთან ერთად.

საჩხერეში პირველად ვიყავი და მიწისძვრისაგან დაზარალებულმა პატარა ქალაქმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. დანგრეული იყო არაერთი ნაგებობა, იყო მსხვერპლი. საუკუნეების ჭირ-ვარამს გამოვლილი მოდინახეს ციხესაც კი ჩამონგრეოდა შიდივე კონგური.

ძირითადი ტვირთი ქალაქში დავტოვეთ. ჩვენი სურვილი იყო და პროდუქტურაშიც დაგვეთანხმნენ პროდუქტები აკაკი წერეთლის ძიძისეულ სოფელ სავანეში ჩაგვეტანა.

მიწისძვრას ამ სოფლისათვისაც დაეტყო ხელი. VI საუკუნის ძეგლები სავანეს წმიდა გიორგის ეკლესია დაზიანებული და ჩუქურთმებჩამოცვენილი იყო, ხოლო წმიდა ნიკოლოზის ტაძარს ახლადაღდგენილი გუმბათი ჩამონგრეოდა...

მახსოვს, იქ ჩასულებს გვერდიდან არ გვშორდებოდა ადგილობრივი გაზეთის ფოტოკორესპონდენტი ვანო შეყლაშვილი.

—ნუთუ აღდგება კი ჯრუჭის მონასტერი?—გულისტკივილით იმეორებდა...

საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ მაშინ საკმაო სამუშაოები მოასწრო. თუმცა შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და ეს გაგრძელდა მანამდე, სანამ ამ კუთხის შვილი ბიძინა ივანიშვილი დაუდგებოდა გვერდით, როგორც მის კუთხეს, ისე სრულიად საქართველოს. აღდგა არა მარტო სავანეს ეკლესიები, ჯრუჭის მონასტერი, არამედ მის მიერ დაარსებული ფონდის მიერ—535 ეკლესია-მონასტერი.

## ახალი საჩხერე



მერაბ კოსტავას ქუჩა

26 აპრილს დიდი სტუმრიანობა იყო საჩხერეში. აჭარის დედაქალაქი ბათუმი და იმერეთის ეს კოპწია ქალაქი დამძობილდნენ და რამდენიმე ღონისძიება იყო დაგეგმილი. მერაბ კოსტავას ქუჩაზე, რომელიც თავისი პეწით ქუთაისის ძველ უბანს მოგაგონებთ, ქ. ბათუმის საკრებულოს მიერ მოწყობილი ახალი სკვერი გაიხსნა. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ინგა ზაბახიძემ და ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ჩავლეიშვილმა ძმობისა და მეგობრობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ამ მნიშვნელოვან დღეს ჩვენი მეგობრების მიწვევით ვიყავით საჩხერეში გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე თამაზ დარჩია, ამ სტრიქონების ავტორი და კიდევ ერთი ოზურგეთელი — საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი დავით შემოქმედელი.

არ შემიძლია ორიოდ სიტყვით არ გადმოგცეთ ზემო იმერეთში გზად მიმავალი მგზავრის შთაბეჭდილება. ზესტაფონიდან საჩხერემდე გზის ორთავ მხარე დავით კაკაბაძის იმერულ პეიზაჟებს გახსენებთ—გამრჯე იმერლის მიერ მოვლილი ვაზი, ხეხილი, გადახნული საყანე ფართობები. აქ სულ სხვა სუნთქვა იგრძნობა. აქაურ გლეხს სხვაზე უფრო მეტად უგრძნია სოფელზე შეყვარებული კაცის მზრუნველი ხელი და თავადაც ცდილობს საქმით უპასუხოს თანადგომას.

ასეთივე შთაბეჭდილება დატოვა საჩხერემაც. ლამაზი და მოვლილი ქუჩები, კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული შენობები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. არას ვამბობთ ჯანდაცვის ობიექტებზე.

## სამი თაობის მხატვრების გამოფენაზე



საჩხერის კულტურის სახლის ვრცელ ფოიეში სამი თაობის მხატვრების გიორგი, გურამ, ლია, ნიკა გურასპაშვილების გამოფენა გაიმართა. ამ გამოფენის ორგანიზატორები საქართველოს მხატვართა კავშირი, კავშირი „ეგენია“(„აპოკალიფსის ცეცხლი“) და ადგილობრივი ფონდი „მოდინახე“ იყვნენ.

გურასპაშვილების უფროსი თაობის თავკაცი აწ გარდაცვლილი გურამ გურასპასშვილი სამხატვრო აკადემიის დეკანი იყო და დიდი წვლილი მიუძღვის არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდის ხელოვნების ასპარეზზე გამოსვლაში.

გურასპაშვილებიდან ამჟამად ყველაზე ტიტულოვანი მხატვარი გიორგია (ის და თამაზ დარჩია თანაკურსელები არიან). მისი ბოლო ოცწლეულში მოღვაწეობა დიუსელდორფის „კუნსტ ზამლუნგ ნორდ ვესტ ვალეს“ მუზეუმს უკავშირდება, სადაც არაერთი პროექტი განახორციელა. მათ შორის ქართველი მხატვრების გამოფენა გერმანიაში და გერმანელი მხატვრებისა—საქართველოში. მისი პროექტებიდან განსაკუთრებული აღიარება „ძველი აღთქმა თანამედროვე ხელოვნებაში“ მოიპოვა.

იგი არის მალტა—ბიენალეს ოქროს მედლის მფლობელი და საპატიო წევრი; ასევე სპეციალური პრიზი—პარიზის გრაფიკის გამოფენაზე; როგორც ჯგუფური ისე პესონალური გამოფენები ჰქონდა გერმანიაში, ინგლისში, აშშ-ში, ჩინეთში, რუსეთში, ლუქსემბურგში.

როგორც გიორგი გურასპაშვილმა გვითხრა, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პერსონალური გამოფენა ჩინეთის ქალაქ შენიანში, სადაც ხელოვნების კავშირი ჩინეთის იმპერატორის მიერაა დაარსებული. ასევე ტოგოს პრეზიდენტის თხოვნით მან შეასრულა მისი დედის „ამადეას“ პორტრეტი, რასაც ამ ქვეყნის დელეგატად წარგზავნა მოჰყვა „ექსპოზე“ ჰანოვერში.

გიორგისათვის ეს გამოფენა პირველი იყო მის სამშობლოში. უნდა აღინიშნოს გურასპაშვილების ყველა თაობას თავისი ხელწერა აქვს.

კულტურის სახლის ფოიეს მეორე ნახევარი ელენე გამგონიძის, გოგა გობელაშვილის, ნუცა ესებუას და გურამ ნავროზაშვილის ნამუშევრებს ჰქონდა დათმობილი. მათგან გამოვყოფდი 41 წლის უსინათლო მხატვარს გოგა გობელაშვილს. გოგამ სამხატვრო აკადემია დაამთავრა, სადაც მისი პედაგოგი გიორგი გურასპაშვილი იყო. სანამ თვალის ჩინს დაკარგავდა მანამ 51 ტილო შექმნა ფერწერასა და გრაფიკაში. 15 წელია უსინათლოა, მაგრამ მხატვრობა არ მიუტოვებია და დღეს იგი მსოფლიოს იმ ოცამდე მხატვარს შორისაა, რომელიც უსინათლოდ აგრძელებს ხატვას და ფერებსაც კი არჩევს...

გამოფენის ოფიციალურად გახსნის შემდეგ კულტურის სახლის სცენა ანსამბლ „ბათუმს“ დაეთმო (ხელმძღვანელი თემურ დოლიძე). ამ აღიარებული ანსამბლის წევრებმა ბრწყინვალე კონცერტი აჩვენეს. კონცერტის აკორდი „ჰერიო ბიჭებო“ ადრესატი ამ კუთხის საამაყო შვილი იყო.

„სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა..“ ჰიმნივით გაისმა საჩხერეში.



გიორგი გურასპაშვილი „მწირი“ (ტილო, ზეთი)

▶▶▶ გვ-4

# ქვირფასო ოზურგეთლებო! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!




უფლის ლოცვით გამარჯვების, წინსვლის გზით გვევლოს. ღვთის წყალობა და მადლი არ მოგვაკლებოდეს!

**მერაბ მჟავია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე



ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ყველა ოზურგეთელს ვუსურვებ სულიერ ამაღლებას, ქვეყნის გამთლიანებას და ქართული სოფლის აღორძინებას.

**კოტე სარიშვილი**
მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე



საქართველოს პროფესიული ბუღალტრებისა და აუდიტორთა ფედერაციის გურიის ფილიალის დირექტორი და შპს „აუდიტ L&L“-ის აუდიტორი ლადო მანთიძე გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!






აფთიაქი „სალბი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ ღვთის წყალობას. უფლის მადლი შეგეწიოთ.

ჩვენთან იაფი ფასები და ხარისხიანი მომსახურებაა.

მის: აპ. წულაძის ქ.№13

## სტუმრობა ჭორვილაში



საჩხერეს არაერთი დიდი ისტორიის მქონე სოფელი ამშვენებს. დღეს ერთ-ერთი პოპულარული ჭორვილაა, რომელიც ბოლო ოცწლეულში ამ სოფლის მკვიდრის, ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობას უკავშირდება. ეს სოფელი მართლაც განსაკუთრებულია საქართველოში, სადაც 700-მდე კომლი ცხოვრობს და ყველა ოჯახს განსხვავებული არქიტექტურის, კაპიტალური სახლი აქვს აშენებული. ამას ემატება ზემო იმერეთისათვის დამახასიათებელი ლამაზი ეზოკარმიდამოები. სოფელს ამშვენებს ორიგინალური არქიტექტურის სარიტუალო დარბაზი.

ჭორვილელები მოგვიყვნენ, რომ შარშან, დიდთოვლობისას, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოფლის გზა არ გაწმინდა, ხოლო ბატონ ბიძინა ივანიშვილს არ მისცეს გზის გაწმენდის საშუალება იმ მოტივით, რომ ამომრჩევლებზე ზემოქმედებად ჩაუთვლიდნენ (?!)

სტუმრის პატივისცემაც განსაკუთრებული იციან ამ კუთხეში. საკრებულოს თავმჯდომარე ინგა ზაზაძე ღირსეული ხელმძღვანელი და მასპინძელი აღმოჩნდა.

როგორც შემდგომ გავიგეთ, ქალბატონი ინგა, მისი კოლეგა ქალაქ ბათუმიდან ბატონი ირაკლი ჩავლეიშვილი, ამ სტრიქონების ავტორი და კიდევ რამდენიმე ადამიანი 2007 წლის ნოემბრის აქციის მონაწილეები ვიყავით. რა თქმა უნდა ეს არანაირი პრივილეგიაა, მაგრამ გახსენებად ღირს, რადგან მაშინ გაბათილდა სააკაშვილის დიქტატურის უძლეველობის მითი, იხსენებენ მასპინძლები.

რესპუბლიკელი ინგა ზაზაძე 2012 წლის ნოემბრიდანაა აღნიშნულ თანამდებობაზე. ის გურიაში მედიის თემითაც დაინტერესდა და გვითხრა: –მინდა ადგილობრივი მედიის განვითარებას შევუწყო ხელი. ამისათვის წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 35 ათასი ლარი გვაქვს გამოყოფილი...

ღმერთმა ხელი მოუმართოს საჩხერლებს ყველა კარგი საქმის განხორციელებაში.



ინ. მეწარმე ჯაბა ჯანდელაძე გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და გთავაზობთ მაღალხარისხიან სამშენებლო მასალებს

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ №4



ა (ა) იპ „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული ცენტრი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

# ძვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ საქართველოში მოღვაწე ყველა პედ-აგოგს, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს.

ძვირფასო კოლეგებო! დაე, ბოლომდე წარმატებით გვეტვირთოთ ყველაზე დიდი მისია, რომელსაც მომავალი თაობის ღირსეული აღზრდა ჰქვია.

ქრისტესმიერი სიყვარულით
**როზა გოგუაძე,**
პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე



**სააქციო საზოგადოების „საქართველოს რკინიგზა“ ოზურგეთის მგზავრთა სერ-ვისცენტრი გილოცავთ აღდ-გომის ბრწყინვალე დღესა-სწაულს!**

**გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, უფლის წყალობას**

დავით ქურიძე
ოზურგეთის მგზავრთა სერვისცენტრის უფროსი



ი/მ **„თენგიზ გორდელაძე“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

საუკეთესო საბურავები, აკუმულატორები, ზეთები და სხვა ავტოაქსესუარები ბანკი „კრედოს“ და „ტაოპრივატბანკის“ მეშვეობით დაბალპროცენ-ტიანი განვადებით.

**მისამართი: ქ. ოზურგეთი, დავით აღმაშენებლის ქ. №4.**



აფთიაქი **„ბაია“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**მის: ეკ. თაყაიშვილის №1**

(დ)



აფთიაქი **„კასაბლანკა“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**მის: დოლიძის №9**

(დ)




ა(ა)იპ ოზურგეთის **„სერვისცენტრი“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

(დ)




**აფთიაქი „PM“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

**მის: გურიის ქ. №12**

(დ)



აფთიაქი **„ისიდორე“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**მის: აკ. წულაძის ქ. №17**

(დ)



საპროექტო ფირმა **„ამბაზი 3“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

(დ)



ლუდის ბარი „ნატახტარი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!
საუკეთესო ქაბაბი, ხინკალი, ნატურალური მწვადი, სამი სახის ჩამოსასხმელი ლუდი, კარგი მომსახურება.
გვეწვიეთ: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ.№12.

# გილოცავთ!



თაღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავთ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ მრევლს! უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს, თითოეულ ბავშვს.

ბავშვთა სამკურნალო ცენტრის კოლექტივი

# შპს „საპროექტო“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს და კვლავ გთავაზობთ საცხოვრებელი, საკურორტო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების პროექტირებას, საძიებო, საინჟინრო, გეოლოგიურ მომსახურებას.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორია. ტელ: 27 39 23.

## შპს „კარგო“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



მისამართი: ქ. ოზურგეთი, დავით აღმაშენებლის ქ.№1

## სააქციო საზოგადოება „იმედი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!




# მადლობა სასწრაფოს ექიმს

ამა წლის 12 აპრილს ცუდად გავხდი. გამოვიძახე სასწრაფო დახმარება. სამედიცინო მომსახურება გამიწია სასწრაფო დახმარების მთავარმა ექიმმა, ქალბატონმა ნანა გოლიაძემ. არასოდეს დამავიწყდება მისი გულისხმიერი და გულთბილი დამოკიდებულება. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სიკვდილს გადავერჩინე.

ბოლო ხანებში ხშირად მიხდება სასწრაფო სამსახურის გამოძახება. გამოძახებაზე ექიმები დროულად მოდიან და კვალიფიციურ მომსახურებას მიწევენ. მადლობელი ვარ ყველა მათგანის.

ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ ქალბატონ ნანას ოზურგეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ყველა მუშაკს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

გფარავდეთ უფალი.

**თინა ჯინორია,**
პენსიონერი.

## ოზურგეთის საბავშვო თეატრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!




# „არ ვიცი რატომ სჭირდება სამინისტროს ეს ადამიანები“

ნინო ნიკოლაიშვილი




2 მაისს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ბრიფინგი გამართა რესპუბლიკური პარტიის წევრმა, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ყოფილმა უფროსმა მარინე სუნგულიამ და ნინო შეწირულმა.

მათი თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან დანიშნული კონკურსი სოფლის მეურნეობის სამსახურების შექმნის თაობაზე კანონდარღვევით ჩატარდა და კანონდარღვევითვე მოხდა სამსახურის უფროსად გიორგი ჭყონიასა და მოადგილედ გურამ იობიშვილის დანიშვნა.

**მარინე სუნგულია:** – კონკურსის პირველ ეტაპზე გიორგი ჭყონიას დაბლოკვა უნდა მომხდარიყო სივების საფუძველზე, რადგან კონკურსის მოთხოვნა არ ემთხვევა მის მიერ წარდგენილ CV-ს. ჭყონიას წარდგენილი აქვს უცხოენოვანი, გაურკვეველი წარმოშობის დიპლომი, რომელსაც არ აქვს ნომერი, ასევე სერთიფიკატი, რომელსაც არც ბეჭედი აქვს და არც ხელწერა (საბუთები თან დართული ჰქონდა). ასევე განსაზღვრულ ვადებში გასაუბრებაზე არ გასულა გურამ იობიშვილი, რომელსაც მოადგილის ვაკანსიაზე განაცხადი არ ჰქონია შეტანილი. მოადგილეობა სამინისტრომ მე შემომთავაზა, მაგრამ უარი ვთქვი სამართლებრივი მხარის გამო, რადგან იქ ის ადამიანები უნდა დანიშნულიყო, რომლებიც მოადგილის ვაკანსიაზე იყვნენ დარეგისტრირებულნი.

**ნინო შეწირული.** – კანონდარღვევით დაინიშნა ეს ადამიანები. სრული ქაოსია ამ მიმართებით. 54 მუნიციპალიტეტში ჩატარდა კონკურსი და უმრავლეს შემთხვევაში უკანონოდ. ნახევარი საათის განმავლობაში ვიყავი გასაუბრებაზე, მითხრეს საუკეთესო ხარო, მაგრამ ამჯერად ასე გადავწყვიტეთო.

მარინა სუნგულიას თქმით, გიორგი ჭყონია ნაციონალების კადრია და სამი წლის წინათ გამოცხადებულ კონკურსშიც ის გუბერნიის გადაწყვეტილებით დანიშნეს მსგავს თანამდებობაზე, ხოლო თავად უარით გამუშვეს იმის გამო, რომ არ იყო ნაციონალი. ამჯერადაც ჭყონიას დანიშვნას ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და გუბერნიის შეთანხმებულ ქმედებად ასახელებს. – ჭყონია ის ადამიანია, რომელიც მონაწილეობდა ყვითელი სიმინდის პროგრამის კრახში, მაშინაც გუბერნიის გადაწყვეტილებით დაინიშნა და ამჯერადაც გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისა და გუბერნიის შეთანხმებით. არ ვიცი რატომ სჭირდებოდა სამინისტროს ეს ადამიანები, იმ გაუფასურებული ბარათების პროგრამის გასაგრძელებლად, თუ სხვა დარღვევებისთვის. ამჯერად განვითარებული მოვლენები გვაძლევს იმედს, სამართალს ვიპოვით და ამას სასამართლოს გზით გავაკეთებთ. ამიტომ წამოვედი დეპუტატის ბიუროდან, რომ ამ საქმეს მივხედო.

# მოჭადრაკეთა სააღდგომო ტურნირი



ორ დღეს მიმდინარეობდა ოზურგეთის თეატრში ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი. მასში თეატრის 8 თანამშრომელი იღებდა მონაწილეობას. ტურნირის ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი ჯემალ კეჭაყმაძე იყო.

ტურნირი წრიული სისტემით გაიმართა და 7 შესაძლებლობიდან 7 ქულით საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ომარ ურუშაძემ გაიმარჯვა.

6 ქულით II ადგილზე მსახიობი ვახტანგ ჩხარტიშვილი გამოვიდა; 5 ქულით III მსახიობი ნუგზარ ბარამიძე იყო.

ტურნირის ყველაზე საინტერესო მატჩად მხატვარ თამაზ დარჩიას (4 ქულით IV იყო) და ომარ ურუშაძის შეხვედრა დასახელდა.

დასასრულს გამარჯვებულებს დირექციის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები გადაეცათ.

# რეზო ღლონტი



1984 წლის 11 მაისს, ალიონზე დაიბადე, დილით დიდი მზე ამოვიდა, ისეთი ჯერ არ მენახა. დაიბადე, ყველა იცინოდა, უხაროდათ, ზეიმობდნენ. დაიბადა რეზიკო ღლონტი. მიუხედავად დიდი ტკივილისა, მეც ვიცინოდი.. მხოლოდ შენ ტიროდი, რომ მოევლინე წუთისოფელს. გაიზარდე, დავაჟკაცდი, მღეროდი, ცეკვავდი, ირგვლივ დიდ სიყვარულს აფრქვევდი. დაოჯახება გადაწყვიტე. კარგი მეწყვილე აირჩიე, ქორწილის დღეც დავნიშნეთ.2012 წლის 15 აპრილს, აღდგომა დღეს ერთად გავათენეთ ეკლესიაში. შენ მთელი ღამე გალობდი. მე გიყურებდი, სანთელივით ანათებდი.

ერთ კვირაში, 22 აპრილს, ბრწყინვალე შვიდეულში კვირაცხოვლობას წახვედი ამქვეყნიდან, ბედმა გიმტყუნა. ეს დღე იყო, როცა 10 თვის ასაკში კვირაცხოვლის ტაძარში მოგნათლე. არ ვიცი, ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევა, თუ მართლაც რჩეულთა ხვედრია ჩემო რეზო..

წახვედი ამქვეყნიდან დიდი გლოვით, გულისტკივილით, დიდი ცრემლით და მწუხარებით. ეკლესიაში დაკრძალვის დღეს დედაშენმა მგალობლებთან ერთად ,,ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ იგალობა. იგალობა დედამ შვილისთვის. ალბათ მაღლიდან დამყურებდი და ამის ძალას შენ მაძლევდი. ყველა ტიროდა, მე კი ვგალობდი. ახლა კი ბრწყინვალე შვიდეულში 11 მაისს შენი დაბადების დღეა. მეორე დღე კი კვირაცხოვლობაა. გილოცავ ჩემო რეზო დაბადების დღეს გალობით ,,ქრისტე აღსდა გკვდრეთით“

### იმ დილას..

მზის სხივი ანცად დაგთამაშებდა
მომღიმარსა და ლამაზ სახეზე,
ვერ გაგიმეტე გასაღვიძებლად
და შეკრთი უცებ ჩემს ფეხის ხმაზე,
გვერდი იცვალე და გადაბრუნდი,
მზის სხივს აქციე ზურგი შიშველი,
რა ვიცი შვილო, შენ რა გელოდა,
თურმე ვერავინ ველარ გიშველის.
მე გაგაცილე და მოგაძახე
აბა შენ იცი, ჭკუით იყავი
ეს ორი სიტყვა იყო ყოველთვის
ჩემი ლოცვა და შენი მეგზური.
მე რა ვიცოდი, თუ სამუდამოდ
მიგაცილებდი უცხო კუთხეში.
შენ კი იქიდან ველარ დაბრუნდი
მეხი გავარდა ამ ჩვენს უბანში.
დაბნელდა ჩემთვის, ჩამოწვა ბინდი
ძნელია ახსნა, რა მოხდა მაშინ
აღარ დაბრუნდა ჩემი რეზიკო
და მომისვენეს ჩემი ბიჭი შინ.
ღმერთო დალოცე უველა შვილი და
აღარ მენახოს ჩემს დღეში დედა,
გულო გაუძელ თუ შეგიძლია
სოფოს და მარის ხომ ასე უნდათ.

**რეზოს დედისაგან.**

# ჩემს სიცოცხლეს ნონას



ჩემს ეზოში ატმის ტოტი აყვავებას ლამობდა,
ვგრძნობდი რომ არ უხაროდა, მარტის მოსვლას ნანობდა,
რაც მოასწრო აყვავდა და გაზაფხული გვახარა,
ცრემლის წვიმამ ჩამორეცხა და ჩემს გულში ჩაყარა.

ცაში როცა გამიფრინდი, ჩემზე არ გიფიქრია?
საყვარელო ჩემო ნონა — ჩემო ჩიტო ნიბლია,
ამდენ სითბოს რომ მაფრქვევდი, გული მაინც გატკინე,
ასე როგორ გაგიმეტე, ასე როგორ გაგყინე.

სულ სხვა ოცნებები გვქონდა, სულ სხვა ფიქრი გვათბობდა
ასე, როგორ გაზაფხულდა, ასე რატომ გათოვდა?!...
ამდენ სიყვარულისათვის დაგელოცოს გამჩენი,
სუნთქვა რატომ შეგიჩერეს, გულში რატომ დამჭერი,

დავრჩი კენტად უშენობით, ვით გამხმარი ხის ღერო,
რაც კი ერთად გვიმღერია, მარტომ როგორ ვიმღერო.
მაინც გეძებ, მაინც გიხმობ, ვიცი, ვიცი ამაოდ,
რადგან შენი სული ცაში განისვენებს საამოდ.

დაე ღმერთმა განიკითხოს, ვინც ერთმანეთს გაგვყარა,
უშენობას ველარ ვუძლებ, უშენობამ დამლალა
ანგელოზთა გუნდში გხედავ, შენს მშვენიერ სულს შვენი,
შენ თავს ვფიცავ, შენთან მინდა, გეფიცები მშურს შენი.

**რეზო ჩიკაშუა**

# ქ. ბაქოში, საერთაშორისო ტურნირზე

ქ. ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კადეტებს შორის, სადაც მონაწილეობდნენ თურქეთის, რუსეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სხვა ქვეყნების ნაკრებები.

საქართველოს ნაკრებში მოასპარეზეთა შორის თავი ისახელეს ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა.

50 კგ წონით კატეგორიაში II ადგილზე დავით ჩხარტიშვილი გამოვიდა.

III ადგილები დაიკავეს იური ლომაძემ (54 კგ) და გიორგი გუჯაბიძემ (58 კგ.)

აღნიშნული სპორტსმენების მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები არიან.

მომდევნო ტურნირი ანტალიაში გაიმართება, სადაც საბოლოოდ გადაწყდება ევროპის პირველობაზე წამსვლელ მოჭიდავეთა ვინაობა. სპეციალისტების აზრით, ევროპის პირველობაზე ოზურგეთელი მოჭიდავეები გამოვლენ.

# რუსიკო ოჯიგავა-ხომერიკი



ჩემო რუსიკო, 11 მაისი შენი დაბადების დღეა. მე ცოცხალს გილოცავ დაბადების დღეს ჩემო თბილო და ლამაზო რძალო. არასოდეს დაგივიწყებ, ყოველთვის გვეყვარები. სასუფეველში დაამკვიდროს უფალმა შენი ლამაზი სული.

**შენი მული იზო**

# „სიმბოლური გარბენი“ ოზურგეთში




15 აპრილს ბოსტონის მარათონში 23 ათასი ადამიანი მონაწილეობდა 90 ქვეყნიდან. მარათონის მიმდინარეობისას განხორციელებული ტერაქტის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა და 176 დაშავდა.

27 აპრილს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ორგანიზებით გაიმართა მარათონი ბოსტონის ტრაგედიის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობის ნიშნად.

ოზურგეთელმა ახალგაზრდებმა სიმბოლური გარბენი მოაწყვეს, რომელშიც მონაწილეობდნენ უფროსკლასელი მოსწავლეები, სტუდენტები, საჯარო მოხელეები. ,,მარათონის“ მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 1,5 კმ. იყო. მარათონში მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ფინიშის ხაზი გადაკვეთა.

# ზაურ კეჭაყმაძე



ჩემო ზაურ! 5 მაისი შენი დაბადების დღეა. დიდი სიყვარულით, მონატრებით გილოცავ თვალცრემლიანი. ვდარდობ შენზე. ისღა დამრჩენია, მოვიდე შენს საფლავთან, საიდანაც შენი სევდანარევი ღიმილიანი სურათი შემომეგებება. მოგიტან ლამაზ ყვავილებს და მანდ გავშლით შენი დაბადების დღის სუფრას. როგორ უნდა შევხვდე ამ დღეს უშენოდ?

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი. ზაურ! რვა თვე გავიდა, რომ არ მინახიხარ. ღა დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი. ვინ იფიქრებდა, ასე მალე თუ დავშორდებოდით ერთმანეთს. ბევრი კარგი მოსაგონარი დამიტოვე. მეამაყება, რომ ზაურ კეჭაყმაძის მეუღლე ვარ. სიყვარულით წახვედი ამ ქვეყნიდან და გაუსაძლისი ტკივილი დამიტოვე. შენი სითბო, ღიმილი და ომახიანი შეძახილი აკლია შენს მერიელ მეზობლებს, ჩვენს ოჯახს., ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს და ყველაზე მეტად ვენერა ბიცოლას.

განაწამები ვარ შენი სიკვდილით. ყველა მამხნევებს. კეთილ ადამიანებს რა დალევს ამ ქვეყნად. ყველა გვერდში მიდგას, მაგრამ სიმწარე მაინც სიმწარეა, რასაც შენი სახლში არყოფნა ჰქვია. ძალიან მენატრები. რომ იცოდე, რა ძნელია ამ უთავბოლო წუთისოფელში ქვრივის ძაძით სიარული, შეგეცოდები.

გაუსაძლისია მწუხარება, სევდა, მონატრება. დღემდე ვერ გავიცნობიერე შენი სიკვდილი. ცრემლმორეული გიგონებენ ჩვენი ეზოს ბიჭები და ისე სვამენ შენს შესანდობარს, სიყვარულითა და ტკბილი მოგონებებით.

იძინე მშვიდად ოჯახის თავკაცო. კეთილო., ამაგდარო, გულმართალო და მოსიყვარულე.

ნეტავი იმას ვინც შენსავით წმინდა, პირნათელი, სულიერად ამაღლებული კეთილი პიროვნება მიუვა უფალს.

შენი **ლეილა აბაშმაძე**.

# აჭარის ღია პირველობაზე





ქ. ბათუმში, ღია კორტებზე გაიმართა აჭარის ღია პირველობა კორტებზე სხვადასხვა ასაკის ჩოგბურთელებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქების და რეგიონების გუნდები, ასევე ჩოგბურთელები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ოზურგეთის ღირსებას ამ ტიტულოვან ტურნირზე ოზურგეთის საჩოგბურთო სკოლის აღსაზრდელები ზურაბ ქავთარაძე და ვაჩე გვიჩია იცავდნენ.

1996 წლებში დაბადებულთა შორის ღირსეულად იასპარეზა №2 საჯარო სკოლის მოსწავლე ზურაბ ქავთარაძემ. მან პირველ ტურში ერთ-ერთი ძლიერი ჩოგბურთელი დაამარცხა. შემდეგ დაძაბულ ბრძოლებში დათმო შეხვედრები და საბოლოოდ ჯგუფში ჩარჩა.

ასეთივე შედეგი აჩვენა 2000 წლებში დაბადებულთა შორის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის მოსწავლე ვაჩე გვიჩიამ.

ოზურგეთის საჩოგბურთო სკოლაში თაობათა ცვლა მიდის. ბათუმის ტურნირიც ახალი ჩოგბურთელებისთვის ძალების მოსინჯვა იყო.

პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკის, ღირსეული ქალბატონის **ლიდა ჩხარტიშვილი-დვალიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

# ძვირფასო ოზურგეთელებო!
# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



გილოცავთ მართლმადიდებელი სამყაროს უდიდეს დღესასწაულს—ბრწყინვალე აღდგომას იესო ქრისტესი.
გისურვებთ წარმატებებს, მშვიდობას, კეთილდღეობას.
უფლის სიყვარულით გვეცხოვროს!

**დიმიტრი კვერღელიძე,**
„თავისუფალი დემოკრატების“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საკრებულოს წევრი.



ძვირფასო ოზურგეთლებო!
გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ „ქართული ოცნების“ ყველა დანაპირების შესრულებას .გისურვებთ ქვეყნის გამთლიანებას და სულიერ ამაღლებას!

**დავით დარჩია,**
„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე.



აღდგომის მადლი შეეწიოს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს. ამ დღის ბრწყინვალებას გაენათოს გზა, გონება და გული მათთვის. ეს დღე იყოს უკვდავი ცხოვრების, ხვავის, ბარაქის, სიხარულის ყველა ადამიანის ცხოვრებაში.

**ლელა შარაშენიძე,**
ოზურგეთის მუსიკალური სკოლის დირექტორი.



ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!
ჩემო ძვირფასო ლიხაურლებო, ოზურგეთლებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**თამაზ სალუქვაძე,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,ინფრასტრუქტურის და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე





კურორტ ურეკის ცენტრში 15 მაისიდან ფუნქციონირებას იწყებს კაფე-რესტორანი **„მიშელი“**, რომელიც იმუშავებს 24 საათის განმავლობაში. აქ თქვენ დააგემოვნებთ როგორც ქართულ, ისე ევროპულ კერძებს. ცოცხალი მუსიკა–24 საათის განმავლობაში. რესტორანს აქვს ღია ვერანდაც.
მისამართი: მაგნეტიტი (იმედის პარკის წინ) ®

## რესტორანი „ფიროსმანი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



გთავაზობთ 24 საათიან მომსახურებას სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურამიშვილის ქ. №1 ®




**ელექტროტექნიკის მაღაზია „მოდეჰინი 2012“ გილოცავთ აღდგომის ბრწინვალე დღესასწაულს და გთავაზობთ ელექტროტექნიკის ფართო არჩევანს.**
**მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. №7** ®




**ი/მ მეწარმე „ვასილ ბეშიტაშვილი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესაწაულს!**
მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. № 17 ®


რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3. ტელ: 558 499 100; გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18.11. 2004. №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“